7448

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისაკ, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 19 სექტემბერი, 1941 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო | № 38 (197) ფასი 30 კაპ.

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტში

სსრ კავშირის მოქალაქეთა სამხედრო საქმის საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ

თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა შემდეგი დადგენილება მიიღო:

რადგან სსრ კავშირის თვითეული მოქალაქე, რომელსაც იარაღის ხმარების უნარი აქვს, გაწრთვნილ უნდა იქნას სამხედრო საქმეში, რათა მომზადებული იყოს იმისათვის, რომ იარაღით დაიცვას თავისი სამშობლო, აგრეთვე წითელი არმიისათვის გაწრთვნილი რეზერვების მომზადების მიზნით, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა დაადგინა:

1. შემოღებულ იქნას 1941 წლის 1 ოქტომბრიდან სსრ კავშირის 16-დან 50 წლამდე ასაკის მამრობითი სქესის მოქალაქეთათვის სავალდებულო სამხედრო სწავლება.

2. დაწესდეს, რომ სავალდებულო სამხედრო სწავლება უნდა ხორციელდებოდეს ჯარგარეშე წესით ისე, რომ სამხედრო სწავლებაში ჩაბმული პირნი არ მოსწყდნენ მუშაობას ფაბრიკებში, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებსა და დაწესებულებებში.

3. სამხედრო მომზადებისათვის მეცადინეობის დღეები და საათები სამხედრო კომისარიატებმა იმგვარად დაწესონ, რომ არ დაარღვიონ საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობის ნორმალური მიმდინარეობა და ზიანი არ მიაყენონ წარმოებას.

4. სამხედრო სწავლება მოეწყოს 110-საათიანი პროგრამით.

5. სამხედრო სწავლების გავლისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სამწყობრო მომზადებას, შაშხანის, ტყვიამფრქვევის, ნაღმმტყორცნისა და ხელყუმბარის დაუფლებას, ქიმიურ დაცვას, სანგრების თხრასა და შენიღბვას, აგრეთვე ცალკეული მებრძოლისა და ათეულის ტაქტიკურ მომზადებას.

6. სავალდებულო სამხედრო სწავლების კურსდამთავრებულ თადარიგის სამხედრო ვალდებულთ სამხედრო ბილეთში აღენიშნოთ, ხოლო წვევამდელთ მიეცეთ სათანადო მოწმობა და აღრიცხონ სამხედრო კომისარიატში, როგორც სავალდებულო სამხედრო სწავლების კურსგავლილნი.

7. სამხედრო სწავლების ინსტრუქტორებად გამოყენებულ იქნას თადარიგის საშუალო მეთაურთა და პოლიტიკური შემადგენლობა და უმცროსი უფროსმადგენლობა, რომელსაც გადადებული აქვს მობილიზაციით გაწვევის ვადა, აგრეთვე ყველაზე უფრო მომზადებული უფროს ასაკთა რიგითი შემადგენლობა, რომელიც გაწვეული არ არის არმიაში.

8. სამხედრო მომზადებაში პირველ რიგში ჩაბმულ იქნან 1923 და 1924 წელს დაბადებული წვევამდელნი და 45 წლის ასაკამდე თადარიგის ის სამხედრო ვალდებულნი, რომელთაც სწავლება არ გაუვლიათ.

9. სსრ კავშირის მოქალაქეთა სავალდებულო სამხედრო სწავლების მოწყობა დაეკისროთ თავდაცვის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს.

10. თავდაცვის სახალხო კომისარიატის შემადგენლობაში შეიქმნას საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების მთავარი სამმართველო, სამხედრო ოლქებში, საოლქო (სამხარეო და რესპუბლიკურ) სამხედრო კომისარიატებში მოეწყოს საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების განყოფილება, ხოლო რაიონულ სამხედრო კომისარიატებმა იყოლიონ საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების 2-3 ინსტრუქტორი.

ყველა მწერალი სამხედრო სავალდებულო სწავლებაში

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობები ყოველდღე ადასტურებენ, თუ როგორ ძლიერდება და მტკიცდება ჩვენი სახელოვანი წითელი არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის შეუპოვარი წინააღმდეგობა მუხანათურად შემოკრული მტრის ურდოებისადმი. რაც დრო გადის, პროგრესიულად მატულობს მტრის მოკლულ, დაჭრილ და დატყვევებულ ოფიცერ-ჯარისკაცთა რიცხვი და განადგურებულ და ხელში ჩაგდებულ საბრძოლო საჭურველის რაოდენობა. ჩვენი ჯარისა და ჩვენი ხალხის ამ მედგარი წინააღმდეგობის შედეგად ფრონტის ზოგიერთ უბანზე მტრის წინსვლა სავსებით შეჩერებულ იქნა, ხოლო ზოგან მტრის შეტევის ტემპი დიდად შენელდა. აურაცხელ ცოცხალ ძალასა და სამხედრო საჭურველს ჰკარგავენ ყოველდღიურად ფაშისტური არმიები გმირულად მებრძოლი ჩვენი მშობლიური ქალაქების — ლენინგრადის, კიევის და ოდესის მისასვლელებზე.

მტერი სისხლისგან იცლება, მაგრამ, როგორც ყოველი დაჭრილი მტაცებელი ნადირი, იკრებს უკანასკნელ ძალ-ონსს თავის გადასარჩენად. იგი არ ერიდება არავითარ უმსგავსო, სადისტურ ღონისძიებას, როგორც ფრონტზე, ისე დატოვებულ ტერიტორიაზე, ჩვენი წინააღმდეგობის მოსადრეკად. გაუტეხელი და უშიშარი საბჭოთა ხალხი მტრის დარტყმას ორმაგი და სამმაგი დარტყმით უპასუხებს. რაც დრო გავა, მით უფრო გამანადგურებელი და თავზარდამცემი იქნება ჩვენი საპასუხო დარტყმა. ამის თავდებია მთელი ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის გადასვლა სამხედრო რელსებზე, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის ჩაყენება სამამულო ომის სამსახურში, ყველა მრძოლისუნარიანი მოქალაქის სამხედრო მზადება სამამულო ომის ფრონტზე გასასვლელად.

ჯერ კიდევ დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მოწოდებისთანავე — დავრაზმოთ მთელი ძალები მტრის გასანადგურებლადო — ჩვენი ქალაქები შეუდგნენ სახალხო ლაშქრის ორგანიზაციას. თუ რა საიმედო და მტკიცე რეზერვს წარმოადგენს სახალხო ლაშქარი, თუ რა დიდ როლს ასრულებს იგი ჩვენი წმინდა მიწა-წყლის ყოველი მტკაველის დაცვაში, ამის ბრწყინვალე მაგალითები გვიჩვენა ჭ. სტალინისათვის, გომელისათვის, სმოლენსკისათვის და ბევრ სხვა ქალაქისათვის გადახდილმა ბრძოლებმა, ამას გვიჩვენებს გაუტეხელი გულადობა სახალხო ლაშქრისა, რომელიც მამაცი წითელი არმიის ნაწილებთან ერთად მედგრად იბრძვის მშობლიური ქალაქების — ლენინგრადის, კიევის და ოდესის დასაცავად. სახალხო ლაშქარმა სავსებით გაამართლა ბელადის მიერ მის წინაშე დასახული ამოცანა და მისმა გამოცდილებამ წამოჭრა საკითხი საბჭოთა ხალხის საყოველთაო სამხედრო მომზადების შესახებ.

მთელი საბჭოთა ხალხი უღიდესი კმაყოფილებით შეხვდა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილებას საყოველთაო სამხედრო სავალდებულო სწავლების შემოღების შესახებ. ამ ღონისძიებით იქმნება ჩვენი სასიქადულო წითელი არმიის დაუშრეტელი რეზერვი.

ყოველი საბჭოთა პატრიოტის, მით უფრო პატრიოტ საბჭოთა მწერლის, წმინდა მოვალეობაა—ხელი შეუწყოს, რომ რაც შეიძლება მალე განუხრელად განხორციელდეს ეს დადგენილება, რომ რაც შეიძლება მალე ამ დადგენილებამ მოგვცეს ის დიდი ნაყოფი, რომელსაც მისგან მთელი ჩვენი ქვეყანა მოელის. არც ერთი მოქალაქე, რომელსაც კი ასაკი და ჯანმრთელობა ნებას აძლევს, არ უნდა დარჩეს სამხედრო-სავალდებულო სწავლების გარეშე. დღე, ყველა ბრძოლისუნარიანი საბჭოთა პატრიოტი უმოკლეს ხანში გახდეს კვალიფიციური, სამხედრო ცოდნით აღჭურვილი მეომარი,—ეს არის ლოზუნგი, რომლისათვისაც უნდა იბრძოლოს ყველა საბჭოთა მწერალმა სიტყვიერი აგიტაციით, კალმით და პირადი მაგალითით.

ერთ თვეზე მეტია უკვე რაც ქართველ მწერალთა მნიშვნელოვანი ნაწილი გადის სამხედრო მომზადების კურსს, სწავლობს მწყობრს, ეუფლება შაშხანას, ტყვიამფრქვევს, ყუმბარის ტყორცნას, ხიშტით იერიშზე მისვლას და სხვ. ამიერიდან ეს მეცადინეობა უფრო უნდა გაფართოვდეს და გაძლიერდეს. სამხედრო წრთვნაში უნდა ჩაებას გამოუკლებლივ ყველა სამხედროვალდებული მწერალი. ყოველი ჩვენგანი დაწესებულ ვადაში უნდა გახდეს ნამდვილი დისციპლინებული და სავსებით კვალიფიციური მეომარი. არც ერთი გაცდენა, არც ერთ დავგიანება, არც ერთი წუთის დაკარგვა ამაოდ. ყოველი საათის სრულად გამოყენება სამხედრო მომზადების დონის ასამაღლებლად, მოცემული დავალების დაუყოვნებლივ და უყოყმანოდ შესრულება,—ყოველივე ეს აუცილებელი პირობაა, რომ სანიმუშო სამხედრო წესრიგი დავამყაროთ ჩვენს რიგებში, რომ აღვიჭურვოთ ბრძოლის უნარით და ყველა იმ თვისებით, რომელიც ბრძოლისუნარიანად აქცევს ყველა მეომარს.

გავხდეთ სრულფასოვანი მეომრები და საჭიროებისთანავე გავიდეთ დიად სამამულო ომის ფრონტზე, რომ იარაღით ხელში, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, დავიცვათ დედა-სამშობლო და ამით კიდევ უფრო მეტი ძალა და მნიშვნელობა მივცეთ სამშობლოს დაცვისაკენ მომწოდებელ ჩვენს სიტყვას.

მხდლის სისასტიკე

ბერლინში, მიწის სიღრმეში, არის გაცოფებული კაცთმოძულის — ჰიტლერის საიდუმლო კანცელარია. ეს ბუნაგი ყველა იმ კატასტროფის და შერყევის ეპიცენტრია, რომელსაც ორი წელიწადია განიცდის მთელი მსოფლიო.

ევროპაში აღარ არის არც ერთი ნაკვეთი მიწისა, სადაც შეიძლებოდეს მშვიდობიანად ღამის გათევა, არც ერთი ნაჭერი ცისა, რომელიც ადამიანს ცეცხლით და რკინით არ ემუქრებოდეს. ღრუბლები საშინი გახდნენ ადამიანისათვის: მათში ფაშისტი უაჩაღები იმალებიან.

დედამიწის ყოველ კუთხეში, ყველა ენაზე, მათ შორის გერმანულ ენაზე, ადამიანები უღონო მძულვარებისაგან ჩახშობილი ყრუ ხმით სწყევლიან ამ საყოველთაო-საქვეყნო რბევის თაოსნებს. ყოველივე ის, რაც, ჩვენ ადამიანად გვხდის, — დედაშვილური, მამაშვილური და-ძმური გრძნობა, ყოველივე ადამიანური ჩვენში იწვის ფაშიზმისადმი მძულვარების ცეცხლით. შურისძიების სურათები შეუნელებელ ქარიშხლად ჰქრიან ჩვენი გონების წინაშე, წყევლა-კრულვა აღმოხდება ხოლმე ჩვენს გულს, რადგან ამ წყევლა-კრულვით არის სავსე იგი და შიგნიდან აფეთქებენ მას. ჩვენ ვიცით, რომ უურნი ფაშისტ გარეწართა დაყრუებულნი არიან ადამიანის ხმის მოსასმენად. განა შეიძლება კაციჭამია შეურაცხყოფიმი, რომ მას კაციჭამია უწოდო, ტურა იმით, რომ მას ტურა უწოდო, გველი იმით, რომ გველი უწოდო?

ჰიტლერს და თავზეხელაღებულ მის ველურ ურდოს თავიანთი ბილწი საქმეებისა არა სცხვენიათ. პირიქით, ისინი ამაყობენ ამ საქმეებით. ისინი მოსავენ მათ სიწმინდისა და გმირობის შარავანდედით. დიადი სიცრუე! სიქველით მოსილი ბანდიტიზმი! წმინდა უმსგავსობა!

დიაღ, — ამბობენ ისინი, — ჩვენ ვართ მხეცები, სისხლის მოყვარული, დაუნდობელი მხეცები, ჩვენ ბარბაროსები ვართ, კულტურის გამანადგურებელნი. ჩვენ გვინდა სისხლში ჩავახშოთ მთელი ხალხები, მონობის ხუნდები დავადეთ მრავალ მილიონ ადამიანებს. ჩვენ გვინდა ვაწამოთ და ვეძალმომრეოთ ადამიანებზე, გვინდა ვსწვათ და ვძარცოთ ისინი. სწორედ ამაში ვხედავთ ჩვენ სოცცხლის ბედნიერებას. მთელი პლანეტა უნდა გახდეს საპყრობილედ მასზე მცხოვრები ხალხებისათვის, მთელი დედამიწა ეშაფოტად, ხოლო ჩვენ — ჯალათებად. აი ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უმაღლესი რასა ვართ! აი ეს არის „ახალი წესრიგი“.

არა, ჰიტლერისა და მისი ხროვის შეურაცხყოფა და დამცირება არაფრით არ შეიძლება. ისინი ხალისით წაავლებენ ხელს ყოველგვარ შეურაცხყოფას და ზე აღმართავენ მას, როგორც დროშას.

აწარმოებს რა აშკარა მძარცველურ, უაჩაღურ ომს, დასაღრჩობად ყელში სწვდება რა სუსტ და უმწეოს, ჰიტლერის გერმანიას არ შეუძლიან დემაგოგიური მოსაზრებითაც კი შეაიარაღოს თავისი ჯარისკაცი იდეით, არ შეუძლიან აღაფრთოვანოს იგი ომის სახალხო ლოზუნგით, არ შეუძლიან მოუწოდოს მას არც შურისძიებისაკენ, არც თავდაცვისაკენ, არც თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ. მას არ შეუძლიან გაარღვიოს თავის ჯარისკაცში არც კეთილშობილი რისხვა, არც კეთილშობილი წმინდა სიძულვილი მოწინააღმდეგეს მიმართ. არავითარი ადამიანური, არავითარი საყოველთაო-სახალხო გრძნობა არ მოიპოვება და არც შეიძლება მოიპოვებოდეს აგრესორის არსენალში.

მაგრამ აჰავე დროს ჯარი უნდა გარეკო ბრძოლაში; ბრძოლა და ომი არ შეიძლება, თუ არ არის გააფთრება და მწვავე გრძნობა. და აი იქ, სადაც ადგილი არა აქვს მოქალაქეობრივ პათოსს, ბრძოლის სარბიელზე აუცილებლად გამოდის სისხლხარბი მტაცებლის აზარტი. ნათელი მგზნებარე იდეების ნაცვლად, ბნელი, ცხოველური ვნება. სწორედ ეს არის ჰიტლერული გერმანიის მთავარი ერზაცი.

გერმანელ ჯარისკაცს ეუბნებიან:— ჩაიდინე ყველაფერი, რაც კი მოგესურვება. ომი შენი პირადი საქმეა, შენი საკუთარი ტყავის საქმეა. დასტკბი სისხლით, ძალმომრეობით, გახრწენი მცირეწლოვანი გოგონები, სძარცვე და იქურდე; აწამე ადამიანები ყოველგვარი საშუალებით, რასაც კი გიკარნახებს შენი გახუტებული მხეცური ავხორცობა; მოჰკალი ყველა, ვისი მოკვლაც კი შეუძლიან შენს ხელებს, გაიტაცე და წაიღე ყველაფერი, რისი წაღებაც კი შეგიძლიან.

იმისათვის, რომ ეს ქერათმიანი მხეცი არ შეჩერდეს სიკვდილით მოფენილ თავის გზაზე, მას ამ ქადაგების გარდა, საწვავითაც ამარაგებენ: ნახაში ასხამენ ხუთას გრამ არაყს. ახლა შეგნება მისი სავსებით დახშობილია, ხახა და ფაშვი გახურებული, და ტეკტონელი რაინდი — ეს გორილა რკინის მუზარადში და ავტომატით ხელში, მზად არის „სასახელო საქმეების“ ჩასადენად.

უმაღლესი ზნეობრივი გამოცდა ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის შეიძლება მდგომარეობდეს იმაში, რომ ჩვენ ჩვენს თავში უნდა შევავთავსოთ უსაზღვრო სიძულვილი მტრისადმი გონების სიმშვიდესთან, სიდინჯესთან, ჩვენი მოქმედების ზუსტ გამოანგარიშებასთან. ჩვენ უნდა უშიშრად უყურაროთ ფაშიზმის საშინელ სახეს. ვიპოვოთ მისი სუსტი მტკივნეული ადგილები. ეს უდიდესი გამარჯვება უკვე მოიპოვა ჩვენმა ფრონტმა. ბევრი ჩვენი მეთაური მტრის გრიგალისებურ ცეცხლს უპასუხებს ანთებული პაპიროსით და მშვიდად სდგას მანქანდე, სანამ არ წარმოიშობა აუცილებელი დისტანცია გადამწყვეტი ბრძოლისათვის. უყურო შენს წინააღმდეგ თავზარდამცემი გრიგალით ასობით დაძრულ ტანკებს, და არ გაისროლო უკანასკნელ მომენტამდე, იმ დრომდე როცა გგონია, თითქოს უკვე გვიანაა, ნამდვილად კი შესაფერი მომენტია, — ეს ისეთი რამაა, რასაც სიტყვა სიმამაცე ვერ გამოხატავს, ვერ მოიცავს. ეს ბრძნული სიმამაცეა, ეს სიმტკიცეა თავისუფლების მოყვარული ადამიანისა, რომელიც იბრძვის თავისი ხალხის და მთელი კაცობრიობის ბედნიერებისათვის და არა საკუთარი ტყავისათვის. რა უდიდესი სულიერი ძალა უნდა გქონდეს, რომ ტყვიამფრქვევის ცეცხლში სამი კილომეტრის მანძილზე საკუთარი მხრებით გამოათრიო დაჭრილი ამხანაგი? ამას ვერასოდეს ვერ გაიგებენ, ამას ვერასოდეს ვერ დააფასებენ სისხლიანი არამზადები, რომლებიც ცოცხლად მარხავენ თავიანთ დაჭრილ ჯარისკაცებს.

გერმანელი ჯარისკაცი მხდალია.

ეს შეიძლება თავის მოტყუებად მოგეჩვენოთ. ჩვენ ვიცით, რომ ჰიტლერის ურდოების შეტევითი ძალა ჯერ ამოწურული არ არის. წითელ არმიასთან ბრძოლაში ისინი ჰკარგავენ მილიონებს. „ჩვენი ამხანაგების საფლავები გვიჩვენებენ ჩვენ გზას“, — სწერს თავის დღიურში ვაი გამარჯვებული. მაგრამ მტერი ჯერ კიდევ მაინც გვიტევს, და ჩვენ ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ საშიშროებას, რომელიც ჩვენ გვემუქრება.

მიუხედავად ამისა, ჰიტლერის ჯარისკაცი მხდალი არსებაა. იგი მოიწევს წინ, ტანკების რკინის კედელს ამოფარებული და უკანიდან მას უტყლაშუნებს ოფიცრის ტყვიამფრქვევი, ან მოდის ბრძოლაში მთვრალი. როცა მისი თავი დაცული არ არის ფოლადის ჯავშნით ან სპირტის ორთქლის ბანგით, იგი უმალვე უმწეო და საბრალო ხდება.

ტყვე ფაშისტი უაჩაღები საჰაერო განგაშის დროს წრიალებენ, როგორც დაფეთებულნი. ისინი იხეუწებიან — დაგვმალეთ უყმბარსაფარებშიო და ვიდრე საფარამდე მიაღწევდნენ, პირდაპირ თავს ქვიშაში მალავენ.

როცა გერმანელი არწივი, სამგზის ჯვაროსანი, სახელგანთქმული ასსი-ი აიძულეს ძირს დაშვებულიყო, იგი თავის თვითმფრინავიდან გამოძვრა შიშისაგან გაფართოებული მრგვალი თვალებით. იგი ერთსა და იმავე ფრაზას დაუსრულებლად იმეორებდა: იხ ვილლ ლებენ! მე მინდა სიცოცხლე, მე მინდა სიცოცხლეო.

მას უნდა სიცოცხლე, ამ ბანდიტს, რომელიც ორი წელიწადია სთესდა სიკვდილსა და განადგურებას, ამ არამზადას, რომელიც სწვავდა და ყუმბარებს უშენდა ათასობით მშვიდობიან მცხოვრებს, ამ გარეწარს, რომელიც ჰოვრიდა ზღვა სისხლს და რომელმაც ნანგრევებად აქცია მრავალი აყვავებული ქალაქი. მას უნდა სიცოცხლე და არა სცხვენიან აღიაროს ეს, არა სცხვენიან თავის რკინის ჯვარს ვედრებისა და შიშის ცრემლები აფრქვიოს.

ჰიტლერელი სალდაფონი, რომლის დაუმარცხებლობის ლეგენდა მთელს ქვეყნიერებას მოეფინა, არ შეიძლება არ იყოს მხდალი. იგი მხდალია იმიტომ, რომ მოკლებულია ადამიანობას. რამ უნდა მისცეს მას ვაჟკაცობა? როგორ გასწირავს თავს ისეთი ადამიანი, რომელიც ომობს ქონების მოხვეჭისთვის? როგორ გასწირავს შეგნებულად, გმირულად თავის სიცოცხლეს ისეთი ადამიანი, რომლის ბრძოლის მიზანიც არა სცილდება ფიზიკური, ცხოველური არსებობის ჩარჩოებს?

გერმანელი ჯარისკაცის უაჩაღური, მტაცებლური ბუნება ართმევს მას სიმამაცეს და ჰხდის მას სასტიკ ქმნილებად. არავის არასოდეს ჯერ არ უწოდებია მხეცისათვის მამაცი არსება, არავის არ აურევია ერთმანეთში სიველურე და სიმამაცე. შეიძლება გახელდეს, გაცოფდეს მესაკუთრული და ცხოველური ინსტიქტების აღვირახსნილობით, მაგრამ გმირულ საქმეს ვერასოდეს ვერ ჩაიდენს.

ჩვენ ვიცით, რომ ბობოქრული ჭკუაშეშლილობა ასამკეცებს გიჟის ძალღონეს სიგიჟის შეტევის წუთებში. მაგრამ ეს ძალღონე როდი იზრდება, როდი ძლიერდება, — იგი ნთქავს თავის თავს. ეს არის ძალა აგონიისა, და რა საშინელი და საზარელიც არ უნდა იყოს ეს ძალა, მისი ხვედრი მაინც დასამშვიდებელი პერანგია. ჯარისკაცი-ნადირი, ჯარისკაცი-მარადიორი, ჯარისკაცი-ჯალათი ჰიტლერული გერმანიის აბსოლუტურად კანონზომიერი, ორგანული ნაყოფია. საკმაოა გავეცნოთ ამ ჯარისკაცს, რომ წარმოვიდგინოთ გერმანული ფაშიზმის მთელი პრაქტიკა და მთელი თეორია. და, პირიქით, საკმაოა ვიცოდეთ ჰიტლერის კანიბალური ათი მცნება, რათა გავიგოთ, რომ სხვანაირი ჯარისკაცი არც შეიძლება იყოს მის არმიაში.

ცნობილია, რომ ბანდიტები, შურისგებით შეშინებულნი, თავიანთ მსხვერპლს ბევრად იმაზე მეტს ჭრილობას აყენებენ, ვიდრე საჭიროა მის მოსაკლავად. უკვე მოკლულ ადამიანს ისინი ნაკუწ-ნაკუწად სჭრიან იმის შიშით, რომ რაღაც სასწაულის ძალით იგი კვლავ არ მოევლინოს მას საიქიოდან.

ჰიტლერელი ჯარისკაცები სთხრიან ტყვე წითელარმიელებს თვალებს, სჭრიან ენას, ყურს, ხელსა და ფეხს, აგდებინებენ თავს.

ამასვე უშვრება ჰიტლერის გერმანია მთელს ხალხებს. იგი ართმევს მათ უკანასკნელ ლუკმას, თავშესაფარს, ართმევს დედა-ენაზე ლაპარაკის უფლებას, ალპობს მათ საპყრობილეებში, აწამებს და ყოველივე ამის შემდეგ ასიათასობით ადამიანს ხვრეტს და სახრჩობელაზე ჰკიდებს.

მხოლოდ შიშს შეუძლიან წარმოშოს ასეთი სისასტიკე.

ჰიტლერის მუქარა მთელი კაცობრიობის მიმართ, მისი აფორიზმები ისტერიყებით შეპყრობილის წივილ-კივილია. ჩვენ გულგრილად მოვსპობთ მილიონებსო, ჩვენ დავამკვიდრებთ ჩვენს ბატონობას ათასი წლითო.

რა რგვალი ციფრია! საიდან გაჩნდა იგი? რატომ მაინცდამაინც ათასი? კაცობრიობის შემდგომი განვითარების რა რეალურ პროცესებთან არის ეს ციფრი დაკავშირებული?.

როგორც ისტერიით და ნევრასტენიით დაავადებულ ყოველ კაცს, ჰიტლერს ახასიათებს მოუთმენლობა და შეურიგებლობა ყოველგვარი ობიექტურისადმი და მიდრეკილება ყოველგვარი აბსოლუტური და უაპელაციო განცხადებებისადმი. დავამკვიდრებ ბატონობას ათასი წლითო, საუკუნეებითო. მოვსპობ მილიონებსო. აღვგვი მიწისაგან პირისა სლავ ხალხებსო.

უკვე მარტო ეს სტილი მეტყველებს იმას, რომ მრისხანე დიქტატორს ეშინიან საღი, გონიერი აზრისა და ლამობს ჩახლეჩილი ყეფით ჩაახშოს საკუთარი შიში. სადღაც თავის გულგვამის სიღრმეში იგი მხეცური ინსტიქტით უკვე გრძნობს თავის უძლურებას, თავის გარდაუვალ აღსასრულს. „მასები გრძნობენ იმის საჭიროებას, რომ ჰკანკალებდნენ“,— ამის თქმა შეეძლო მხოლოდ იმ ადამიანს, რომელმაც არ იცის, რა არის ხალხი და კარგად იცის, თუ რა არის კანკალი. დღე, კანკალებდეს თავის ბუნაგში სისჩლიანი წესწყობილების სისხლიანი ცერბერი.

თავისუფლების სიყვარული მარად ჩაუქრობელი ცეცხლია. ამ ცეცხლით აღტყინებული ხალხები უძლეველნი არიან. ვერასოდეს სიკვდილი ვერ დასჯაბნის სიცოცხლეს. საბჭოთა ხალხები ვაჟკაცურად გადაიტანენ ჰიტლერის ურდოების შემოტევის ამ შავს წელიწადს და უკანასკნელ ლახვარს ჩასცემენ მთელი კაცობრიობის მტერს, გაცოფებულ გერმანულ იმპერიალიზმს.

ა. გურვიჩი.

ანტიფაშისტური საღამოები

საქართველოს მწერალთა კავშირის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ 10, 11, 13 და 16 სექტემბერს მოაწყო ანტიფაშისტური ლიტერატურული საღამოები სამხედრო ჰოსპიტალში მიასნიკოვის სახელობის კლუბში წვევამდელთათვის, პლეხანოვის სახ. კლუბში და სამხედრო ნაწილებში. აღნიშნულ საღამოებზე მოხსენებით გამოვიდნენ ამხ. ბეს. ყენტი და სიმონ წვერავა. საღამოში მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა და პოეტებმა: შ. დადიანმა, ალ. მაშაშვილმა, გ. ლეონიძემ, ს. ჩიქოვანმა, ილო მოსაშვილმა, ი. გრიშაშვილმა, ალ. აბაშელმა, ს. ეულმა, რ. ქორქიამ, ვ. გორგაძემ, ს. თავაძემ, გ. ქუჩიშვილმა, მ. პატარიძემ, ბ. სერებრიაკოვმა, რ. ივნევმა და გ. კრეიტანმა. საღამოები წარმატებით ჩატარდა.

შეხვედრა ქართველ მეომრებთან

ასოცი კონცერტი გამართა მოწინავე პოზიციებზე მომქმედი არმიის ნაწილებისათვის ბელორუსიის სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობთა ბრიგადამ. ბელორუსიის კ. პ. (ბ) ც. კ-ის თაოსნობით შექმნილი ეს ბრიგადა პირველი იყო, რომელიც გაიგზავნა მომქმედი წითელი არმიისათვის მხატვრული მომსახურების გასაწევად. სამხედრო კორესპონდენტი გ. პრაგინი აგვიწერს რამდენიმე ეპიზოდს ამ ბრიგადის მუშაობიდან.

მტრის არტილერიისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლში და ფუგასური ყუმბარებით დაღარულ შარა-გზებზე და გზატკეცილებზე ექვსი კვირაა მოძრაობს ხის მტოვებით შენიღბული სამტონიანი ავტო-მანქანა. მხოლოდ მეომრის დაკვირვებული თვალი გამოიცნობს (და ისიც ძალიან ახლო მანძილზე), რომ ეს მოძრავი მწვანე ბუჩქი ბელორუსს მსახიობთა აგიტ-მანქანაა. მეტად ხალისიანი და მხიარულია ყოველთვის მსახიობთა შეხვედრა სამშობლოს მამაც დამცველებთან. სამტონიანი მანქანა. მყისვე ესტრადად იქცევა, რომელსაც ამფითეატრად გარს ეხვევიან მაყურებლები. ერთ დღეს ბრიგადა ესტუმრა ქვეითთა ათასეულს. მეომართა შორის აღმოჩნდა მზიური საქართველოს ვაჟკაც შვილთა ჯგუფი. რამდენიმე ნომრის მოსმენის შემდეგ ქართველმა მეომრებმა ბრიგადას ჩამოართვეს ინიციატივა და თავათ იკისრეს კონცერტის გაგრძელება. უცბად შემოვლებულ იქნა წრე და წრეში გამოჩნდნენ ლეკურის მოცეკვავენი. ცეკვა იმდენად წარმტაცი იყო, რომ მათში ჩაებნენ ბრიგადის მონაწილენიც. მეომრები ცეკვავდნენ დიდი ოსტატობით, მათ დაავიწყდათ დაღლილობა და თავისი მხიარულება გადასდეს მრავალ ათასიან აუდიტორიას.

ახალი პიესები

დრამატურგმა ა. აფინოგენოვმა დაამთავრა ახალი პიესა, რომელიც ასახავს საბჭოთა ხალხის სამამულო ომს გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ და რომელსაც ეწოდება „წინა დღით“. პიესა დასადგმელად გადაეცა მოსკოვის მცირე თეატრს, რომელიც უკვე შეუდგა მის მზადებას. პიესის დამდგმელი ი. სუდაკოვი, რეჟისორი—ვ. ციგანკოვი, მხატვარი—ვ. ჯნობლოკი. მთავარ როლებს ასრულებენ ა. ზრაჟევსკი, ი. სკურატოვი, გ. კოვროვი, მ. ცარელი, დ. ზერკალოვა, ე. გოგოლევა და სხვები.

○

მცირე თეატრისათვის ახალი პიესა დაასრულა ცნობილმა უკრაინელმა დრამატურგმა ა. კორნეიჩუკმა. ეს პიესა წარმოგვისახავს საბჭოთა პარტიზანების გმირულ ბრძოლას გერმანულ ფაშისტურ ურდოებთან უკრაინაში.

მომქმედი არმია. დასავლეთის მიმართულება. წითელ პარტიზანთა რაზმი მიემართება ფაშისტთა ზურგში.

(საკლესის ფოტოქრონიკა)

მებრძოლის სიმღერა

გრიგოლ ცეცხლაძე

მოუწოდებს დღეს ქვეყანა
ბრძოლისაკენ ერთგულ შვილებს.
და ჩვენ შორის ვინმე განა,
ქვეყნის იმედს გააწბილებს?

მებრძოლს თავისუფლებისთვის
ვერ შეუკრთობს გულს მუქარა,—
სიხარული არის მისთვის,
მტერს პირისპირ შეხვდეს ჩქარა.

პატრიოტთა მქუხარებს ხმა,
ზღვიდან ზღვამდე გადამწვდენი:
არასოდეს ფაშიზმის ყმა
არ გახდება ხალხი ჩვენი.

თავისუფალს, ამხანაგურს,
ჩვენ ცხოვრებას შევეჩვიეთ,
ვუმატებდით აგურს აგურს, —
სიძნელენი ბევრი ვძლიეთ.

ბედნიერებს, კმაყოფილებს,
საამური გვიდგა დარი, —
მაგრამ მტერი მხეცურ კბილებს
ილესავდა საზიზღარი.

ბანდა ველურ კანიბალის
თავს დაგვეხა მუხანათად
და გვიხდება ღონე-ძალის
ღეს დაძაბვა ერთი ათად

მოუწოდებს დღეს ქვეყანა
ბრძოლისაკენ ერთგულ შვილებს.
და ჩვენ შორის ვინმე განა,
ქვეყნის იმედს გააწბილებს?

მფრინავებს

პოლიო აბრამია

ფრთები გაშალეთ, არწივნო,
სიმღერა დაგვგუგუნეთ!
ჩვენს მიწა-წყალზე შემოჭრილს
ეკვეთეთ ბნელს და უკუნეთს!
მოიწევს მტერი ვერაგი,
რომ გაგვითელოს ველები.
ცისკენ გაფრინდნენ უშიშრად,
გუნდ-გუნდად ჩვენი მცველები!
მტერს აქ რა უნდა მუხთალსა?
გასრისეთ მისი სახელი,
რომ შიშის ზარმა დაცოფოს
ჩვენი გმირობის მნახველი!
დასცხეთ გულდაგული, არწივნო,
გაჰფანტეთ შავი ლაშქარი,
რომ დაუმტკიცოთ ქვეყანას,
ერთიც არა გვყავს ლაჩარი!
სიცოცხლის ფასად დაუსვით
ჩვენზე თავდასხმა ქურდული.
აღარ დაინდოთ, აგემეთ
ჩვენი ტყვია და შურდული!
განა იმისთვის ვაშენეთ
ჩვენი სამშობლო ნაქები,
რომ მას სთელავდეს მტრის ურდო,
დიდ შარა-გზებზე ნაკრები?

განა ამისთვის ვიცავდით
ამ მიწას თითო მისხლითა
ათასჯერ ომის ქარცეცხლში
ჩვენი მკერდით და სისხლითა?
განა იმისთვის აღგვზარდა
ბელადმა თვისი ხელითა,
კვლავ ურდოები მოვუშვათ
ჩვენ აქ სიკვდილის ცელითა?
განა იმისთვის ვიბრძოდით
მთებში, ბარად და ველადა,
მტერს არ დავუხვდეთ სამშობლოს
თავისუფლების მცველადა?
ვინა სთქვა?! მუდამ მზადა ვართ,
რკინის ჯავშანში ჩამჯდარი!
მიწაზე, ზღვაზე, ჰაერში
გაშლილა ჩვენი ლაშქარი!
მტერს დაავიწყდა მუხანათ
ჩვენი ბრძოლები მქუხარი.
გულდაგულ მიდით, ბიჭებო,
და ტყვიის ცეცხლით უთხარით:
თავს გვირჩევნია სამშობლო, —
„ნურც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება!“

სტალინურ შევარდენს

მეგობარო შევარდენო!
მტერი მოსპე საზიზღარი,
ერთის დარტყმით დაამსხვრიე
ფაშისტური ქვეყნის ჯარი.

აუქროლე ცას გმირულად,
შეალეწე ღრუბელს კალთა
და გვიჩვენე სასწაული
საბჭოეთის გმირულ ძალთა.

შენი ცეცხლით, შენი ტყვიით
მტრის ბანაკი დაინისლა,
ერთად დავსცხოთ, წინ სახელი
ვეძღვის დიდი სტალინისა.

წითელარმიელი

რ. გელაშვილი.

ი. გაის ახალი პიესა „შეხვედრა“

დრამატურგმა იულუს გაიმ მოსკოვის თეატრებს დასადგმელად წარუდგინა თავისი ახალი პიესა „შეხვედრა“, რომელიც გვიჩვენებს დასავლეთ ევროპის ინტელიგენციის მდგომარეობას ფაშიზმის ქუსლქვეშ. როგორც გაზეთ „სოვეტსკოე ისკუსტვოს“ რეცენზენტი ს. როზენტალი აღნიშნავს, ი. გაის ახალი პიესა „შეხვედრა“ მღელვარე გრძნობით არის დაწერილი და მეტად სცენიურია. ეს არის დიდი გრძნობებისა და აზრების პიესაო. გაი გვიჩვენებს დასავლეთ ევროპის ინტელიგენციის, კერძოდ, მოქანდაკე მოზდერის ბედს ფაშისტურ საპყრობილეში და სამუალებას გვაძლევს ახლო გავიცნოთ დასავლეთ ევროპის მრავალი მოწინავე ადამიანი, რომელნიც ამჟამად გვერდში გვიდგანან ჩვენ და ჩვენთან ერთად მედგრად იბრძვიან ფაშისტური ტირანიის დასამხობად.

ქართული თეატრის პატრიოტული ტრადიციები

დ. ჯანელიძე

ქართული თეატრი თავის ხანგრძლივი ისტორიის მახვილზე მაყურებლებს უნერგავდა სამშობლოს მგზნებარე სიყვარულს მამულისთვის თავდადების წმინდათა-წმინდა გრძნობას, შემოსეულ მტრებისადმი დაუცხრომელ ზიზღს და მათი ურდოების განადგურების მტკიცე რწმენას. სასიმღერო და საცეკვაო ხელოვნების შთამგონებელ ძალას, გმირობით აღმგზნებ მის ცხოველ ზემოქმედებას უძველეს დროიდან ქართველები ლაშქრობის დროს იყენებდნენ.

ბერძენთა ისტორიკოსის ქსენოფანტეს (IV საუკ. ჩ. წ. აღ.) მოწმობით მესხები ომში ცეკვითა და სიმღერით გადიოდნენ. ქართველთა წინაპრების მეორე ტომი ხალიბები მტერზე გამარჯვებას სახალხო სასიმღერო და საცეკვაო სანახაობის გამართვით ზეიმობდა.

626 წელს თბილისს ალყა შემოარტყეს ურთიერთთან სამხედრო კავშირში მყოფმა ბიზანტიელებმა და ხაზარებმა, მაგრამ ვერასგზით ქართველებისაგან გამაგრებული ციხე-ქალაქი ვერ აიღეს. ქართველებმა შემოსეულ მტერთა ურდოების უძლურება საკომედიოდ გახადეს და დიდი სახალხო სანახაობა მოაწყვეს. დაამზადეს ხაზართა ხაკანის (მეფის) ჯიბღუს გამომხატველი კომიკური ნიღაბი სარწყული კვახისაგან. ნიღაბი ჯიბღუს დაბრმავებულ მეფედ გამოხატავდა. შემოსეულ ხაზართა ურდოების მეფისა და მთავარსარდლის ნიღაბი თბილისის ციხეზე გამოდგეს ხაზართა და ბიზანტიელთა ჯარის დასანახავად. ამ სახიობის მონაწილენი ხაზართა ხაკანის ნიღაბს ისრებს უშენდნენ და გმირავდნენ. ამით მტერს ეუბნებოდნენ — ამგვარად მოგეღება ბოლო ქართველებისაგან. ბიზანტიელთა იმპერატორს ჰერაკლეს შესახებ ბიზანტიელებს მისძახოდნენ — თქვენი მეფე თხაწვერა და ვაცკისერა არისო. შემოსეულ მტერთა ურდოები ამ სანახაობით მეტად გაგულისებული იყვნენ, მაგრამ ქართველთა დედა-ქალაქის ციხე-სიმაგრე შეუვალი აღმოჩნდა და მტერი იძულებული იყო ქალაქისათვის ალყა მოეხსნა.

მტრების ურდოებით გარემოცულ ქვეყანაში, ცხადია ,ბევრს ხრუნავდნენ ხალხში ვაჟკაცური და გმირული სულის განმტკიცებაზე. ამიტომაც არის, რომ ქართველ ხალხს ძველთაგანვე მრავალი სალაშქრო პატრიოტული სახიობა და სანახაობა შეუქმნია, რომლებითაც იგი თავდაცვისათვის ფხიზელ მზადყოფნას, შემოსეული მტრის ურდოების დამარცხებას და გამარჯვების სიხარულს გამოხატავდა.

თუშეთში „ტყვეობას“ თამაშობდნენ. მოთამაშეთა ერთი ჯგუფი მტერს წარმოადგენდა, მეორე ჯგუფი კი თავს იცავდა. ომის ინსცენირებას აწყობდნენ, ტყვეების წაყვანით, ტყვეების გამოსყიდვით და სხვ.

ხევსურეთში თამაშობდნენ „დარბევას“. მტრისაგან სოფლის დარბევის სურათს წარმოადგენდნენ. რამდენიც თოფი გავარდებოდა, იმდენი კაცი გაგორდებოდა. ბრძოლის წარმოდგენის შემდეგ დაჭრილების მოვლის ინსცენირება ხდებოდა. „მოკლულებს“ არაყს ასმევდნენ და აცოცხლებდნენ.

ქართველი ხალხის დიდად პოპულარული და ხანგრძლივი ისტორიის მქონე დიდი სახალხო სანახაობა ყეენობა ქართველი ხალხის შემოსეულ მტრებთან გმირულ ბრძოლას განასახიერებდა. ამ გრანდიოზულ სანახაობაში მთელი მშრომელი ხალხი მონაწილეობდა, მოქმედების ასპარეზი მთელი ქალაქი იყო. დილით წარმოადგენდნენ ქვეყნის დამპყრობელ ყეენის შემოსვლას ქალაქში, მცხოვრებთა დაბეგვრას, ხარკის აკრეფას, ხალხის აწიოკებას. ნაშუადღევს წარმოადგენდნენ „ქართველების“ თავდასხმას „ყეენის ჯარზე“. მერე საკრივოდ ქალაქ გარეთ გადიოდნენ. კრივობდნენ ხის ხმლებით, შურდულებით, მუშტით. შებინდებისას, „ყეენს“ „ჯარს“ რომ შემუსრავდნენ, „ყეენს“ შეიპყრობდნენ, ვირზე პირუკუღმა შესვამდნენ, მთელ ქალაქს ჩამოატარებდნენ და შემდეგ მტკვარში გადააგდებდნენ. ხალხური გადმოცემით, როდესაც სახელოვანმა და მამაცმა მხედართმთავარმა გიორგი საკაძემ მტრებზე გაიმარჯვა და 1623 წ. ყორჩიხანი ტყვედ ჩაიგდო, ხალხს წყეული მტრის ვერაგი სარდალი შეუმურავს, ვირზე პირუკუღმა შეუსვამს და მტკვარში გადაუგდია. სახალხო გმირის გ. საკაძის მტერზე გამარჯვების მოსაგონებლად, პატრიოტულ გრძნობათა აღსაფრთოვანებლად, ამ ამბავს შემდეგ ხალხი ყოველ წლივ ყეენობით წარმოადგენდა.

ასეთივე პატრიოტულ პანტომიმურ სანახაობას წარმოადგენს ქართველი ხალხის საყვარელი „ხორონი“ ანუ „ხორუმი“. ხორონი ოთხი სურათისაგან შესდგება. მისი შინაარსი უსიტყვოდ, ამსრულებელთა სხეულის მოძრაობით, რიტმით, ჟესტით და მიმიკით გადმოიცემა. პირველ სურათში წარმოადგენენ ქართველთა რაზმის მიერ მტრის მახლობელ ადგილების დაზვერვას. მეორე სურათში განსახიერებულია მტრისაგან დაზვერვა. მესამეში პირისპირ შეხვედრა და შეტაკება. საფინალო სურათში — მტერზე გამარჯვება და ბრძოლიდან საზეიმო დაბრუნება. პანტომიმაში ზოგჯერ ჩართული იყო ბრძოლის ველიდან დაჭრილების გაყვანის სურათი.

1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, მსახიობთა დასი თავისი მეთაურის—მე-18 საუკუნის ქართული თეატრის ცნობილი მსახიობის დავით მაჩაბლის წინამძღოლობით ბრძოლის ველზე გავიდა. გმირი ქართველი მსახიობები თავიანთ მეთაურთან ერთად სამშობლოსათვის ბრძოლაში მამაცურად დაიღუპნენ. ამავე ბრძოლაში დიდი გმირობა და ვაჟკაცობა გამოიჩინა და სამშობლოს თავისუფლებას თავი შესწირა მე-18 საუკუნის ქართული თეატრის ერთ-ერთმა მესვეურმა გაბრიელ მაიორმა.

ამნაირად შორეულ წარსულიდან მოყოლებული ქართულ თეატრს თვით ხალხურ სანახაობისაგან შეთვისებული აქვს მგზნებარე პატრიოტიზმის, სამშობლოსათვის თავდადების და თავგანწირვის წმინდათა-წმინდა გრძნობის აღმგზნები ძალა, ნიჭი და უნარი. პატრიოტიზმის ამ გრძნობით აღფრთოვანებული და გამსჭვალულია დღეს ქართული საბჭოთა თეატრი რომელიც ჰქმნის ქართველი ხალხის ისტორიიდან გმირულ საბრძოლო წარსულის ამსახველ სპექტაკლებს („გიორგი საკაძე“), რომელიც ხატავს მშრომელი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის დაუვიწყარ ეპიზოდებს სამოქალაქო ომის დროიდან („კიკვიძე“). ეჭვს გარეშეა, რომ პატრიოტიზმის დიდი ტრადიციების მქონე თეატრი დღევანდელ ისტორიულ მომენტში შექმნის დრამატურგთა დახმარებით დიდ პატრიოტულ სპექტაკლებს, რომლებიც წარმოგვისახავენ გმირული წითელი არმიის საარაკო სიმამაცეს და სამშობლოსათვის თავდადებას.

ხაზართა ხაკანის ნიღაბი თბილისის ციხეზე.

ნახატი.

ოვაციები მოსკოვის მისამართით

ამ დღეებში მოსკოვის ერთ-ერთ თეატრში წარმოდგენა მიდიოდა. დარბაზი გაჭედილი იყო მაყურებლებით. კომედიის პერსონაჟთა მხიარულ რეპლიკებს დარბაზი ერთსულოვანი სიცილით უპასუხებდა. პიესის მოქმედება მოსკოვში ვითარდება. პიესა დაწერილია ომამდე და გვიჩვენებს გაზაფხულს მოსკოვში. და აი როცა ანტრაქტს შემდეგ ფარდა აიხადა და მაყურებლებმა სცენაზე დაინახეს ქვის ხიდი („კამენი მოსტ“-ი), კრემლის სილუეტები და ვარსკვლავები ცის ლაჟვარდ სივრცეში, დარბაზში მქუხარე ოვაციამ იფეთქა. ტაში უფრო და უფრო ძლიერი და ერთსულოვანი ხდებოდა. ყველანი დარბაზში ფეხზე წამოდგნენ.

ამ სანახაობით აღელვებული მსახიობები სდუმდნენ სცენაზე. შემდეგ იმათაც ასტეხეს ტაში. ეს იყო ოვაცია მოსკოვის მიმართ, ოვაცია ამაყი, ვაჟკაცი, საყვარელი ქალაქის მიმართ. ცრემლი უბრწყინავდა მრავალ მაყურებელს თვალებში და ისინიც მხურვალედ უკრავდნენ ტაშს თავიანთ მშობლიურ მოსკოვს.

„ს. ს. რ. კ. ხალხთა მხატვრული ლიტერატურა ქართულ ენაზე“

კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკამ ამ დღეებში გამოსცა ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი საბჭოთა კავშირის ხალხთა მხატვრული ლიტერატურის თარგმანებისა ქართულ ენაზე. მაჩვენებელში მოყვანილია რუსული, უკრაინული, ბელორუსული, სომხური, აზერბაიჯანული, უზბეკური, ტაჯიკური, ყაზახური, ლიტვური, ყალმუხური, ოსური, აფხაზური, ლეკური, ებრაული მწერლობის ნიმუშების თარგმანების სია. მაჩვენებელი მოიცავს პერიოდს 1921 წლიდან 1940 წლამდე. საძიებელში აღნუსხულია ცალკე წიგნებისა და კრებულების სახით გამოსული და აგრეთვე ქართულ პერიოდიკაში მოთავსებული თარგმანები. მხატვრული ნაწარმოებების თარგმანების გარდა, მაჩვენებელი აღნუსხავს ამავე წყაროებში მოთავსებულ კრიტიკულ წერილებს და რეცენზიებს ცალკეულ მწერლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ამა თუ იმ ნაწარმოების თარგმანის აღწერილობა უშუალოდ თანასდევს თვით ნაწარმოების აღწერილობას. წიგნს ბოლოში დართული აქვს ანბანის მიხედვით შედგენილი მთარგმნელთა და კრიტიკოსთა საძიებელი.

ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლის შემდგენელთ (ნ. აკერმანი და ლ. ეგორაშვილი) გამოუყენებიათ ქართულ ენაზე გამოსული ცალკეული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები, მაგრამ ეს წიგნი უმთავრესად წარმოადგენს პირველ წყაროებზე გულდამჯდარი მუშაობის ნაყოფს.

წიგნი შეიცავს 122 გვერდს და ღირს 8 მანეთად.

ძეტყევე

ბორის ჩხეიძე

პროხორომ თვალები გაახილა. მიმოიხედა. თივაზე ეგდო კართოფილის ორმოში. ხმელ სამყურის ბღუჯებზე, როგორც სასაკლაოზე ეყარა დაკვრებული, ღვიძლივით შავი სისხლის ნაფლეთები. იგი უეცრად ვერ მიხვდა, საიდან გაჩნდა იქ ეს სისხლი. შეიძლება ვინმემ მოიტანა და ჩააქცია ორმოში მის ფეხებთან? აბა ვინ მოიტანა? და უფრო დაკვირდა არემარეს. ვერა, ვერავინ შეამჩნია. ჩამიჩუმიც არ ისმოდა. თითქოს დიდი ჭექა-ქუხილისაგან დამფრთხალი სულიერნი ქვესკნელს ამოეფარნენ და ჯერაც თავის გარეთ გამოყოფას ვერ ბედავენო.

მისი სახლიც ტყისპირად აღარ იდგა. ძელები და დირეები, საძირკვლები და წივწივები, ყავარი და თეთრად შეღებილი ჩარჩოები მინდორში ეყარა ჭოლოკებივით, აქეთ-იქით მოგნეულ-გადატყორცნილებივით. შარიკიც აღარ ჰყეფს და წკმუტუნებს. ერთი წუთით არა სცილდებოდა პროხორს. საბრალო ნაგაზი ჩამღვარა. შუაზე გაგლეჯილი გდია ორ ფიქვს შორის გაბმული გრძელი მავთულის ბოლოში, ხის ფესოზე, საიც დღისით მოსვენება და თვლემა უყვარდა.

„შეიძლება ყველაფერი მოჩვენება და სიზმარია“, — გაიფიქრა მეტყევემ და შეეცადა მოეგონებინა, რა მოხდა:

ღილით ადრე დაბრუნდა პროხორი ტყიდან. ხათიბიდან ზურგით წამოღებული თივა ცხენს დაუყარა და ეზოში გაიარ-გამოიარა. სიჩუმეში ხმაური მოესმა მდინარის მხრიდან. გაიხედა. იმ ადგილას, სადაც მისი ცოლი ლუკერია და მახლობელი ხუტორის ქალები დაკარწახებულნი ჩხრიალა მდინარეში სარეცხს რეცხავდნენ ხოლმე, გერმანელ ჯარისკაცთა ლანდები შენიშნა. ისინი მდინარეს გაღმა ტყიდან გამოვიდნენ, ფონი დაათვალიერეს და ქაჯებივით გაჰქრნენ.

პროხორმა ხელი თავში შემოიკრა, ერთი წამიც აღარ დაუყოვნებია, შინ შეიჭრა, ლუკერიას დაუძახა, სიჩქაროდ შეაბა ცხენი, უეცარი გაღვიძებისაგან დამფრთხალი შვილები—ტატიანა და კოსტია ოთხთვალზე დასხა და წკვერტი გადაუჭირა ცხენს.

ჩუმად, უსიტყვოდ სლუკუნებდა ლუკერია. ცრემლებს კაბის ბოლოთი იწმენდდა და ქურდულად ბავშვებისაკენ იხედებოდა. ბავშვები კი საკმაოდ გაკვირვებულნი, ოთხთვალაში ჩაგებულ თივაზე ისხდნენ, ხელში პურის ნაჭრები ეჭირათ. ხანდახან კოსტია კითხულობდა:

— საით, დედი, დიდედასთან თუ ბაზარში? რას მიყიდი იქ?

სახლიდან ორიოდე კილომეტრის მანძილზე პროხორი ოთხთვალიდან გადმოხტა. წკვერტი ლუკერიას გადასცა. ცხენი შენ წაიყვანე, მარდად იარე, მე ტყის გზით მოვჭრი და წინ დაგიხვდებიო. ლუკერიამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია. პროხორმა შინისკენ გასწია.

გზად ისევ სათიბს გაუარა. ერთი იღლია ხმელი სამყურა წაიღო და ეზოში შევიდა. სახლიდან ათიოდე ნაბიჯზე თივა კართოფილით სავსე ორმოს დააყარა. მერე ბარი მონახა და მიწას უჭდო ზედ დასაყრელად, დასამალავად.

სწორედ ამ დროს მოესმა საშინელი შხეილი, თითქოს ციდან გამოსროლილი ლოდი მოჰჭრისო. ლოდი ყავარს დაეცა და სახლი ჩალეწა. დადგა მიწის, ქვის და ხის ნამდვილი ჯახაჯუხი.

ერთ წამში მოოხრდა ოცდათხუთმეტი წლის ნაამაგარ-ნაშრომი. მაგრამ რაკი თითონ პროხორი ცოცხალი გადარჩა, არაფერია, ისევ შეიძენს ყველაფერს, ისევ აღადგენს სახლკარს. უბედურება მაშინ იქნებოდა, რომ ცოლსა და შვილებს არ გაესწროთ. ახლა მათ არავითარი საფრთხე არ მოელით. ის ღა დარჩენია პროხორს, წამოდგეს, გასწიოს ტყისკენ, თავით დაუაროს, როგორც დაპირდა, ლუკერიას და წინ დახვდეს, ოთხთვალას. პროხორმა უნდა მოუჩქაროს წასვლას, თორემ ლუკერია მარჯვე ქალია: ცხენის გარეკა მამაკაცივით ეხერხება და შორს გაასწრებს. უნდა იჩქაროს გზაში დაეწიოს, თორემ მერე სად ეძებოს!

პროხორმა წამოწევა დააპირა: ადგომა სწადია. ტანი, ის ტანი, ერთ საათში რომ ხუთიოდე კვადრატულ კილომეტრ ტყეს ნადირივით იოლად შემოარბენინებდა, აღარ ემორჩილება.

თეძოებს ქვემოდ ძალა გამოელია. რკინის ძელებივით მძიმედ დაყრილან ფეხები თივაზე. აჯაჭვავენ პროხორს მიწაზე. აღარ სწორდებიან, რომ ნაბიჯი გადასდგას. წვივის ძვლები გაჩენჩხილან, ჭრილობებიდან სისხლიც აღარ მოჟონავს. პროხორმა თავი გადააქნია. სიკვდილი ყოველთვის თან რომ დასდევს ადამიანს, ფეხებში სწვდენია და მაგრა მოუჭერია ხელი. უკვე შუა ღღეა. აფეთქება კი ღილით მოხდა. დალამდება — დაბალლამდება, გათენდება—გათავდება პროხორი. იყო ერთი მეტყევე და აღარ არის.

ხალათი გაიძრო, სასხლავით ნაკერავებზე გასჭრა, გაფატრული შარვლის ტოტები ისევ შემოაფინა ჭრილობებს და შეიკრა სახვევად გადაქცეული ხალათით. ამ საქმეში გართულს კვლავ შემოესმა რაღაც ხმაური. ყურები სცქვიტა. უთუოდ ხუტორელები მოვიდნენ ამბის გასაგებადო.

— ვინ ხართ ქვეყანაზე კეთილი, მიშველეთ!

ხმაური შესწყდა. მაგრამ პროხორმა მეორედ დაიყვირა:

— მიშველეთ!

ისევ გაიგონა პროხორმა ხმაური. მის ხმაზე ვიღაცეები გამოიჭცნენ, ხუტორელების ნაცვლად, გერმანელი ჯარისკაცები გამოჩნდნენ.

პროხორმა თავი დალუნა და ორმოში ჩაიმალა.

გერმანელები მივიდნენ და ორმოს დაადგნენ თავს.

— სადა გყავს დამალული ბატები და იხვები?

მოესმა პროხორს დამტვრეული რუსული. თავი მაღლა ასწია გაკვირვებულმა, ეს რა ხალხია, რა დროს ამნაირი კითხვაა, კაცი სიკვდილს პირად ვარ მიმდგარიო.

— აბა სთქვი, სადა გყავს დამალული?—კიდევ მოესმა ხმა.

— ბამბა მომეცით, შემიხვიეთ ჭრილობა!—შეეხვეწა პროხორი.

— მოგცემთ ბამბას, თუ გვიჩვენებ, სადა გყავს დამალული ფრინველი. ხმისაც დავჯერდებით.

— არა მყავს არც ბატები, არც იხვები და არც ხმო.

— სტყუი! მდინარის პირად სცხოვრობ, ამისთანა ტყეესა და მინდორში!

— აგრეა, მაგრამ არა მყავს.

— მაშ ბამბას ვერ მიიღებ,—მუქარით სთქვა კისერ-მოკლე, დათვივით უშნო გერმანელმა და იქვე დაუმატა:

— უწმინდურო სლავო, მაშ სხვა რამე გექნება და სამაგიეროდ აღარ მოგკლავთ, აბა თქვი!

— მე მარტოხელა კაცი ვიყავი, — აცრუა პროხორმა:—ფრინველი და ხმო არა მყავს, კარტოფილი კი რამდენიც გენებოთ. ასწიეთ ამ ორმოში ფიცარი და ნახავთ.

ორმა ჯარისკაცმა მაჯებში ხელები მოავლო პროხორს, ამოათრია ზემოდ და ნაყარ მიწაზე დასდო. ორი სხვა ორმოში ჩახტა. თივა ამოჰყარეს, კართოფილით კალთები და ჩანთები აივსეს და ზემოთ ამოვიდნენ. უკისრო გერმანელმა ბრძანება გასცა—დანარჩენი კართოფილი ორთვალათი წაიღოთ.

იმ გერმანელებმა, რომელთაც კართოფილით კალთები და ჩანთები ჰქონდათ სავსე, ნასახლარის მტვერსა და ნაგავში ლუკერიას თუჯის ქვაბი იპოვნეს, აგურებზე შემოადგეს და სახლის ნარჩენი ფიცრები შეუნთეს. ჩქარა უკისრო უფროსი დაბრუნდა და ისევე დაადგა თავს პროხორს. ფეხების ბრგუნით უთხრა:

— არაყი და ქონი სადღა გადამალე? უმაგალოდ ვის გაუგონია რუსი? უარი არ გაბედო, თორემ აქვე გაგათავებ!

პროხორს არაყი და ქონი აქვს, როგორ არა აქვს? კაცს ასეთი მიწა-წყალი ჰქონდეს, როგორიც მასა აქვს და არაყი და ქონი არა ჰქონდეს?

მაგრამ ქონი სახლთან ერთად დაიღუპა. არაყი კი სახლის მოშორებით რომ სამზარეულო გადარჩა, იქ ნახონ. დიდ ბოთლებში ასხია. საძირკველთან არის ჩაფლული: სექტემბრის დამლევს სტუმრებს მოელოდა. მათთვის ჰქონდა შენახული. არაყი რაა, იქ ტაფობში ბოსტანიც არის. ყველაფერია იქ: კიტრი, ნესვი, საზამთრო, პამიდორი და ბადრიჯანი, ხახვი, მწვანილი.

დარბიან, და ფუსფუსებენ გერმანელები, უკისროს ბოთლები მოაქვს, ჯარისკაცები კართოფილს ფცქვნიან. მხიარულად არიან, მშიერ მუცელს ამოყორავენ. მერე? მერე დრანგ!.. დრანგ!..

იარაღი შეუხუხულავებიათ პატარა წაბლის ხის ძირას. დარდი არა აქვთ, არავისი ეშინიათ.

ნეტავ ერთი თავისი ფეხები მთელი ჰქონდეს პროხორს, მაშინ ნახავდნენ გერმანელები თუ ასე დაუსჯელად იპარპაშებდნენ. ახლა აბა რა შეუძლიან პროხორს? ბერდანიც კი არა აქვს, კეტიც სანატრელი გახდენია.

დაე ასე იყოს, ჭამონ, სანამ მუცლები არ დაუსკდებათ. პროხორი ჭრილობებს მოუვლის. იქნებ გადარჩეს, იქნებ მოესწროს და კვლავ ნახოს საყვარელი ცოლშვილი, ხოლო გერმანელებიც აქედან გახდეენილი.

ხამის ქამარი შემოიხსნა. სიგრძეზე გასჭრა, შუაზე. ბარძაყებზე შემოჭირა, მაგრა გაჰკოჭა, ახლა გული აქვს ცუდად. თითქოს ვიღაცა შემძვრალა გულგვამში. გულისწვერი ხელით უჭირავს და ზარის ეხასავით იქნევსო.

გახელებული სწვდა ღოლოს. გათხარა, გაჩლითა, პირში ჩაიდო, დაღეჭა. ქინაქინასავით მწარე გამოდგა ძირები. პროხორსაც ეს უნდოდა. პირი გამოიითუთქა, სამაგიეროდ ჯანი შეემატა.

ხელებზე დაებჯინა. ყამირისკენ გადახოხდა. იქ მიწა თბილი იყო.

ეს შეუნიშნავი არ დარჩათ გერმანელებს. უკისრომ ხუმრობახარეკ ღრეჯით მიაძახა:

— უკრაინელო, თქვენებთან წასვლაზე ხელი აიღე, ვერსად გაგვასწრებ.

— ბოსლამდე მიმიყვანეთ და დამაგდეთ იქ,—შეევედრა დაჭრილი.

— თხოვნას რომ არ მიეჩვიო. და შემდეგ თავი არ მოგვაბეზრო, ნებას გაძლევთ თითონ მიირბინო ბოსლამდე,—მიუგო უკისრომ და დასაცეცი ფათქით არაყი პირთან მიიტანა. გამოცალა, მერე ხელქვეითებს მიმართა:—შეხედეთ, შეხედეთ!

ჯარისკაცები მიბრუნდნენ. ბროხორი ხელებ-დაბიჯგებული მიხოხავდა უკანალის რბილებით. მკვდარი ფეხები ბორკილებივით ებლანდებოდნენ და მოძრაობას უშლიდნენ.

— იარე, იარე, ჩვენ გიყურებთ. სანამ ჭამას მოვრჩებით, თუ მანამ ბოსლამდე მიხვალ, ერთ ფათქა არაყს გადაგაკვრევინებთ, — და ჯარისკაცებს მიმართა:—ხომ ასეა, ყმაწვილებო?

— ჰუტ! ჰუტ!—ამბობდნენ ისინიც და თვალს არ აშორებდნენ დაჭრილს.

პროხორი წვალებით განაგრძობდა ხოხვას.

შეზარხოშებულმა ისევ გაიბა:

—იაროს, იაროს. ჩვენ გერმანელები სიტყვის ხალხი ვართ. თუ მართალა მივა ბოსლამდე, არაყსაც დავალევინებ და სიცოცხლესაც ვაჩუქებ. ეს ადგილები ძალიან მომწონს, აქ ვილას გავიმართავ და მაშინ მე ვიცი, როგორ გამოვიყენებ მაგას. ორი ხელი შერჩა, ეგ საკმარისია...

მიხოხავს პროხორი, მიხოხავს. აგერ გვერდით ჩაუარა პატარა წაბლის ხეს. აგერ შეხუხულავებული ავტომატებიც.

სახსრებში საშინელი ტკივილი იგრძნო. ხომ არა კვდება პროხორი? არა, ასე ჩქარა არ მოკვდება. არც უნდა მოკვდეს ისე, რომ ეს მხეცები დაუსჯელი ნახოს. უკრაინა მათ არ შეარჩენს ამ სისხლსა და განადგურებას.

ისევ სწვდა ძირნაყოფას. გაჩლითა და პირი გამოიტენა მწარე ფესვებით. დაღეჭა. ქაფურივით იმოქმედა ღოლომ.

გერმანელები კი საცაა აიშლებიან. დარჩენილი არაყი ბოთლებში ჩაისხეს და გაინაწილეს.

შეხუხულავებელ ავტომატებამდე სულ ორი იდაყვის ოდენა მანძილიდა დარჩა. დაუფიქრებლად უნდა იძიოს შური პროხორმა. უკისრო უნდა დაესახლოს მის ნამოსახლარზე? მერე ტატიანა და კოსტია სადღა უნდა წავიდნენ?

და უცბად წაწვა პროხორი. ავტომატი მოითრია. საკეტს გამოჰკრა, არც სროლის ხმა ესმოდა და არც გერმანელების ყვირილი.

რამდენჯერმე დაინახა მხოლოდ, როგორ ეცემოდნენ ძირს გერმანელები. ავტომატს მაშინ უშვა ხელი, როცა უკისრო მთლად დაცხრილა და ვაზნებიც გამოელია...

ოცი ფაშისტი გაანადგურა პროხორმა. მშვიდობიან მეტყევესაგან ეს სამსახური სამშობლოსა და ცოლშვილის წინაშე არც თუ მცირე იყო.

სიცოცხლეც ისევ ხელთ ჰქონდა, ის სიცოცხლე, რომელიც ახლა ათჯერ უფრო მეტად სწყუროდა, ვიდრე მაშინ, როცა სრულიად უნაკოდ სხეული ჰქონდა.

ნაჯზედაც აღარ სწუხდა, რადგან ტატიანა და კოსტია სრულიად ჯანსაღნი ეგულებოდა, მათთან ერთად ლუკერიაც.

საredაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი, შ. რადიანი, ვ. ფულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე) ტელეფონი 3—47—10.

ლ. ბ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

УЭ 33931